



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების  
კლასტერის შესახებ

პროგრამა 1 - "ციფრული კომუნიკაცია და მედია - არტის" საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა 2 - "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
2025 წლის -27-28 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი  
08/04/2025

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კოსტას მანტზალოსი, ფრედერიკის უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მირიან ყენია, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ლევანიძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ალექსანდრე კალანდაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი	გრაფიკული დიზაინი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ციფრული მედიის ბაკალავრი	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	არ ეხება	არ ეხება
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	180 ECTS კრედიტი	180 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით	ახალი	ახალი

აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)		
---	--	--

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

1. **პროგრამა 1 - ციფრული კომუნიკაციისა და მედია არტის საბაკალავრო პროგრამა**

ციფრული კომუნიკაციისა და მედია - არტის საბაკალავრო პროგრამა არის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამა, რომელიც შეიქმნა სწრაფად განვითარებადი შრომის ბაზრის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით. კერძოდ, ციფრული კომუნიკაციისა და მედიახელოვნების სფეროში გაიზარდა მოთხოვნა მრავალმხრივი უნარების მქონე პროფესიონალებზე. ამასთან ერთად, გახშირდა სფეროში არსებულ პროფესიებს შორის მიგრაციები, რისთვისაც დარგის სპეციალისტებს სჭირდებათ ჰქონდეთ როგორც სფეროს შესახებ კომპლექსური ხედვები, ასევე, ფართო პროფილის ცოდნა, უნარები და გარკვეული მოქნილობა ერთი სფეროს შიგნით არსებული მიმართულებიდან მეორეში ადვილად ადაპტაციისთვის. პროგრამის ხანგრძლივობაა სამი წელია ანუ 180 ECTS კრედიტი; სასწავლო წელი მოიცავს 2 სემესტრს. ყოველი სემესტრი შედგება 20 სასწავლო კვირისგან, რაც მთლიანად 40 კვირიან სასწავლო წელს შეადგენს. ერთი ECTS კრედიტი უდრის 25 საათის სწავლას, მათ შორის მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს, ასევე დამოუკიდებელ სამუშაოს (როგორცაა შეფასების მომზადება და საშინაო დავალება).

2. **პროგრამა 2 - გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)**

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა არის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამა; ის შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს მისცეს გრაფიკული დიზაინის დარგის პროფესიული პრაქტიკისთვის საჭირო კომპეტენციები. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ბაკალავრის ხარისხი გრაფიკულ დიზაინში. აღნიშნული პროგრამა ეფუძნება გრაფიკული დიზაინის უკვე არსებულ ქართულენოვან პროგრამას და ისწავლება ინგლისურ ენაზე.

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა არის ხელოვნებასა და შემოქმედებითობაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 180 ECTS კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია, სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს. ყოველი სემესტრი შედგება 20 სასწავლო კვირისგან, რაც მთლიანად 40 კვირიან სასწავლო წელს შეადგენს. ერთი ECTS

კრედიტი უდრის 25 საათის სწავლას, მათ შორის მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს, ასევე დამოუკიდებელ სამუშაოს (როგორცაა შეფასების მომზადება და საშინაო დავალება).

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი ჩატარდა 2025 წლის 27-28 თებერვალს; პირველ დღეს, შეხვედრები გაიმართა უფროს მენეჯმენტთან, რასაც მოჰყვა დისკუსია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ვიზიტის მეორე დღეს კი გასაუბრებები გაიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მათ შორის სტუდიები, საკლასო ოთახები, აუდიტორიები, IT სერვისები და ბიბლიოთეკა.

ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია; აღსანიშნავია, რომ დოკუმენტებში მკაფიოდ იყო ხაზგასმული პროგრამების მიზნები და ამოცანები, ასევე დეტალურად იყო აღწერილი სწავლა/სწავლების აქტივობები.

ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ ფაკულტეტი (უფროსი მენეჯმენტიდან მოწვეულ პერსონალამდე) მხარს უჭერს ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის, ასევე გრაფიკული დიზაინის ახალი საბაკალავრო პროგრამებს. სტუდენტები და კურსდამთავრებულები განსაკუთრებული ენთუზიაზმით გამოირჩეოდნენ. ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტი ინარჩუნებს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ხარისხს და ამზადებს პროფესიონალებს შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი სკოლებსა და დეპარტამენტებთან შეთანხმებულად მუშაობს, რაც უზრუნველყოფს უსდ-ში ხარისხის სტანდარტების შენარჩუნებას.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კარგად არის მოწყობილი. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მატერიალური რესურსების განახლება რეგულარულად ხორციელდებოდეს და ეს გაუმჯობესება მუდმივად იყოს უსდ-ს დღის წესრიგში, რათა უსდ-მ აკადემიური პროგრამების მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილოს.

ორივე ახალი პროგრამა გვთავაზობს პერსპექტიულ და მრავალფეროვან სასწავლო გეგმას, რომელიც პასუხობს შემოქმედებითი ინდუსტრიის ამჟამინდელ მოთხოვნებს. პროგრამები აერთიანებს თემების ფართო სპექტრს, რაც სტუდენტებს მყარ საფუძველს

ამლევს როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე პრაქტიკისთვის. ასეთი ინტერდისციპლინური მიდგომა შესძენს სტუდენტებს მრავალმხრივ უნარებს და მოამზადებს მათ იმუშაონ ამ ინდუსტრიაში სხვადასხვა მიმართულებებით.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

### ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი

- სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია
- სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### გრაფიკული დიზაინი

- სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

### ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი

1.1 რეკომენდებულია ციფრული კომუნიკაციებისა და მედია-არტის პროგრამის მიზნებში მკაფიოდ და კონკრეტულად განსაზღვროს ის უნარები და შესაძლებლობები, რომლის განვითარებასაც ისინი ითვალისწინებს.

1.2 რეკომენდებულია სწავლის შედეგების გადახედვა და დაკონკრეტება, ასევე კურსდამთავრებულთათვის სპეციალობის, კვალიფიკაციისა და საქმიანობის სფეროს შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების იდენტიფიცირება.

1.4 რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მეტი ყურადღება დაეთმოს ტექნიკურ საგნებს და შესაბამისად გადაიხედოს სასწავლო გეგმა.

1.4 რეკომენდებულია სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის ბალანსის გაუმჯობესება, რათა სტუდენტებს არჩევანის უფრო ფართო სპექტრი ჰქონდეთ.

2.2 რეკომენდებულია მეტი ყურადღება დაეთმოს კონკრეტულ ტექნოლოგიურ სფეროებს, სიღრმისეული აკადემიური პროგრამის შემუშავებას და სპეციალიზაციის გათვალისწინებით, მის შემდგომ დახვეწას.

### **კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები**

5.1: რეკომენდებულია პროგრამების ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა პერსონალმა გაიარონ ტრენინგი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის, სწავლის შედეგების შეფასების და სასწავლო გეგმის შედგენის მიმართულებით, რათა პროგრამა წარმატებით განახორციელონ და უზრუნველყონ მისი სამომავლო განვითარება.

#### **• რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

##### **ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი:**

- 1.5. სასურველია, ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის პროგრამის სათანადო მონიტორინგი მისი სამწლიანი ციკლის განმავლობაში, რომ კურსების ფართო სპექტრმა სტუდენტებისთვის ფრაგმენტული გამოცდილება არ შექმნას, რადგან სტუდენტებს შესაძლოა გაუჭირდეთ იმის გაგება თუ როგორ უკავშირდება კურიკულუმით გათვალისწინებული სხვადასხვა სფეროები ერთმანეთს.

##### **კლასტერის საერთო რჩევები:**

2.2 სასურველია უნივერსიტეტმა, განსაკუთრებით პროგრამამ, შექმნას მკაფიო ხედვა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ, რათა სტუდენტებმა ნათლად გაიგონ, რომელ ეტაპზე და როგორ შეიძლება ამგვარი ინსტრუმენტების გამოყენება.

2.2 სასურველია „პრაქტიკული მუშაობის“ კურსი ადაპტირებული იყოს კონკრეტული პროგრამის მოთხოვნებზე, შემუშავდეს უსაფრთხოების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს კურსის განხორციელებას რეალურ პირობებში.

2.2 სასურველია შესაბამისი, განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომელშიც ჩართული იქნებიან სტუდენტები, ლექტორები და დამსაქმებლები. შესაძლოა ეს მოიცავდეს სემინარებს, გარე შეფასებაზე ორიენტირებულ გამოფენებს, დამატებით ტრენინგებს და სხვა ინიციატივებს.

2.4 სასურველია, განახლდეს ელექტრონული სწავლების რეგულაციები, რათა ისინი მეტად შეესაბამებოდეს ელექტრონული განათლების სფეროში კანონმდებლობის უახლეს ცვლილებებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კლასტერული პროგრამები მოემზადება ონლაინ სწავლის კომპონენტების აკადემიურ კურიკულუმში აქტიური ინტეგრაციისთვის.

### გრაფიკული დიზაინი

4.4 სასურველია, კომპიუტერული ლაბორატორიების გაძლიერება პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მაღალი ხარისხის კომპიუტერებით.

4.4 სასურველია ლიცენზიების შესყიდვა გრაფიკული დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>1</sup>

▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს კავკასიის უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას და რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

ექსპერტების გუნდის თავდაპირველ პოზიციაზე შენარჩუნების მიზეზებია:

პროგრამის შედეგები კონკრეტულად არ ასახავს, თუ რა უნარ-ჩვევები ექნება კურსდამთავრებულს. სფეროს (მედია ხელოვნება/ციფრული მედია) სპეციფიკა

---

<sup>1</sup>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც შედეგებში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ საგნებში.

ადგილზე ვიზიტის დროს ცხადი გახდა, რომ აკადემიურ პერსონალსა და პროგრამის ხელმძღვანელებს არ გააჩნდათ საჭირო ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. გარდა ამისა, მათი ჩართულობა პროგრამის შეფასების პროცესების დაგეგმვასა და შეფასებაში ნათლად არ იყო დემონსტრირებული.

პროგრამის ხელმძღვანელებმა - ადგილზე ვიზიტის დროს აჩვენეს კომპეტენციის ნაკლებობა სწავლის შედეგების შეფასების, სასწავლო გეგმის რუკების შედგენის და ზოგადად ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის კუთხით.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

---

## **კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო პროგრამა)<sup>2</sup>**

### **ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი**

ციფრული კომუნიკაცია წარმოადგენს ინფორმაციის, მონაცემებისა და შეტყობინებების გადაცემის თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ეფუძნება ინტერნეტ-ტექნოლოგიებსა და ციფრულ ინსტრუმენტებს. ციფრული კომუნიკაცია თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რადგან ის მოიცავს ადამიანის და სოციალური ცხოვრების ყველა სეგმენტს. მედია-არტი ან მედიახელოვნება, განისაზღვრება, როგორც ხელოვნება, რომელიც შექმნილია ფილმის, ვიდეოს და კომპიუტერული ხელოვნების კომბინაციით. ახალი მედიის გამოყენებით, იგი ფორმალურად რეალიზდება ნარატიული, დოკუმენტური და ექსპერიმენტული ფილმის, ვიდეოს, ციფრული პროდუქტის და ინსტალაციის სახით, რაც მოითხოვს მეტ საჯაროობას, საკუთარი იდენტობის გაცნობიერებას და კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიასთან ურთიერთობას. ანუ ორივე სეგმენტში, როგორც სათაურიდან ჩანს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე

---

<sup>2</sup> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების აღნიშნული ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

ტექნოლოგიების ცოდნას და მათი შემოქმედებითი მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას. ეს მახასიათებლები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სწავლების სპეციფიკასა და პროგრამის მიზნებში.

ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია შექმნას პერფორმანსები კლასიკური ხელოვნების სფეროებში (თანამედროვე ხელოვნების ფორმები სრულიად იგნორირებულია) და შექმნას ისინი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს სამი სხვადასხვა პროფესიის უნარ-ჩვევებით: პერფორმანსის ავტორი, ანუ ის ან პერფორმანსს დგამს კონკრეტულ სივრცეში, საშემსრულებლო ხელოვნებაში მიღებული ცოდნის გამოყენებით, ან ქმნის აუდიოვიზუალურ მედია პროდუქტს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ანუ არის გრაფიკული დიზაინერი და მენეჯერი, რომელიც გეგმავს და მართავს პროცესს. ამ სამი სეგმენტის გაერთიანებითა და ხელოვნების სპეციფიკური ტრადიციულ ფორმებზე ფოკუსით, ვფიქრობ, ჩვენ მივალწევთ ვიწრო სპეციალიზაციას მედია ხელოვნების დარგში, რომელიც ყოველდღიურად ვითარდება და მეტად მოიცავს სოციოკულტურულ სფეროებს. პროგრამა არ ასახავს კურსდამთავრებულის წვლილს ინდუსტრიასა და საზოგადოებაში.

პროგრამის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს ბაკალავრიატის დონის შესაბამისი საბაზისო ცოდნა ციფრული კომუნიკაციებისა და მედია ხელოვნების სფეროს კონკრეტულ სეგმენტში.

პროგრამის მიზანი შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

კავკასიის უნივერსიტეტმა ჩაატარა ბაზრის კვლევა, მედია ხელოვნების მიმართულებით პროფესიონალების საერთო საჭიროებისა და მათი უნარების გამოსავლენად. ბაზრის კვლევამ აჩვენა მზარდი მოთხოვნა მედია ხელოვნების

სპეციალისტებზე, თუმცა არა კონკრეტულად სამემსრულებლო არტისტებზე. შრომის ბაზრის კვლევა იგეგმება პროგრამის მენეჯერების მიერ გარკვეული პერიოდულობით.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა)<sup>3</sup>**

გრაფიკული დიზაინი კომუნიკაციის დიზაინის სფეროა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნის და იგონებს ვიზუალურ ელემენტებს. ეს მოიცავს გარე რეკლამას, შეფუთვის დიზაინს, პოსტერებს, ვებდიზაინს, ბეჭდურ სარეკლამო მასალებს, ილუსტრაციებს და სხვა.

გრაფიკული დიზაინის ძირითადი ამოცანაა კონკრეტული გზავნილის ვიზუალურად გასაგები ენით გადაცემა, ემოციების აღძვრა და მიზნობრივ აუდიტორიაში შესაბამისი ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაქციის გამოწვევა. პროგრამის მიზანი რეალისტური და მიღწევადია, რადგან მკაფიოდ და ლაკონურად განსაზღვრავს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს, პროფესიულ უნარებს და მუშაობის სფეროს, ასევე დარგის სპეციფიკას. პროგრამის მიზანი შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას; გრაფიკული დიზაინის სპეციალისტებზე დღეს საქართველოში დიდი მოთხოვნაა, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მარკეტინგული კვლევა, რომელიც ავლენს ბაზრის საჭიროებებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების კუთხით. პროგრამის მიზნები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, რადგან ისინი ორიენტირებულია სტუდენტებისთვის საბაზისო ცოდნის მიწოდებაზე.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

---

<sup>3</sup> აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების აღნიშნული ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- ვებ-გვერდი:
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები**

რჩევები

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:)

კლასტერის ზოგადი რჩევები:)

პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ ციფრული კომუნიკაციებისა და მედია-არტის პროგრამის მიზნებში მკაფიოდ და კონკრეტულად განსაზღვროს ის უნარები და შესაძლებლობები, რომლის განვითარებასაც ისინი ითვალისწინებს.

**შეფასება <sup>4</sup>**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ო მოთხოვნებთან

<sup>4</sup>შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია- არტი, ბაკალავრიატი )	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი )	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)**

ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის პროგრამის შედეგები შეესაბამება მის მიზნებს. შედეგები დაყოფილია 8 პუნქტად: პირველი ორი, ისევე როგორც 7-8 შედეგი ძირითადად ორიენტირებულია თეორიული ცოდნის შეძენასა და დამოუკიდებლობაზე, ხოლო დანარჩენი პუნქტები ასახავს პრაქტიკულ უნარებს. სწავლის შედეგებს შორის, ვფიქრობთ, განსაკუთრებით აღსანიშნავია: შედეგი №4: გეგმავს, ავითარებს, მართავს, აფასებს და იყენებს პერფორმატიული სახის სახელოვნებო პროდუქტს; ვინაიდან, ეს არის სრულფასოვანი კურსი, რომელიც არამარტო მენეჯერისა და მარკეტერის ფუნქციების შესრულებას ეხება, არამედ სცდება

ამ კომპეტენციას და შემოქმედებით ნაწილშიც აღწევს, რაც თავის მხრივ სხვა სასწავლო კურსებით შევსებას საჭიროებს, აუცილებელია დაზუსტდეს, თუ როგორ გამოიყენება იგი.

პროგრამის მიზნები უფრო კონკრეტულია, ვიდრე შედეგები, რომლებიც უფრო ბუნდოვანია და უფრო მეტად ორიენტირებულია თეორიული უნარების განვითარებაზე, ვიდრე ტექნიკური, პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

შედეგების ფორმულირებისას, პროგრამის ავტორები გვთავაზობენ ზოგად განმარტებებს, რაც არ იძლევა საშუალებას გამოავლინოს კურსდამთავრებულის ის სპეციფიური, პროფესიული უნარები, რაც საბოლოოდ მათ შრომით ბაზარზე დასაქმებას უზრუნველყოფს.

პროგრამის შედეგები ასევე არ ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს, რომლებიც შემუშავებულია დარგობრივი საბჭოს მიერ. „ვიზუალური კომუნიკაცია/მედია ხელოვნება“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედია ხელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდური მედია/ტიპოგრაფია“), რომელსაც აქვს უმაღლესი განათლების დარგობრივი პროფილი, მოიცავს ბაკალავრიატის დონეს და ასევე განსაზღვრავს კვალიფიკაციის კომპეტენციებს ციფრული მედიის სფეროში. აუცილებელია დარგობრივი მოთხოვნების გათვალისწინება. ეს საშუალებას მისცემს პროგრამის ავტორებს უფრო ზუსტად და ნათლად დაგეგმონ პროგრამა და განსაზღვრონ შედეგები.

პროგრამის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება დარგის დეტალური აღმწერის მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დონეს.

პროგრამაში ნათქვამია, რომ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, გააგრძელოს სწავლა სადოქტორო პროგრამაზე; თუმცა, ამჟამად არ არსებობს სამწლიანი პროგრამა. კანონის თანახმად, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს არ აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა პირდაპირ დოქტორანტურაზე, შესაბამისად, პროგრამას განვითარება არ აქვს.

გასაუბრებისას, პროგრამის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა მკაფიოდ და კონკრეტულად ვერ ჩამოაყალიბეს, თუ რა სახის კომპეტენტურ სპეციალისტზე იყო საუბარი; მათ მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრეს, თუ როგორ ეხმარებოდა მათ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, სხვადასხვა დროს, შემოქმედებით პროექტებში და რამდენად ერუდიტები იქნებოდნენ მათი კურსდამთავრებულები. რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისინი თავად არ იყვნენ ამ საკითხებში საკმარისად ინფორმირებულნი. პროგრამის შედეგები ბუნდოვანია და სჭირდება მეტი სიცხადე და კონკრეტიკა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე; ამიტომ ცოტა რთულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების თანმიმდევრულობაზე საუბარი.

#### **აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)**

**გრაფიკული დიზაინის პროგრამის** შედეგები შეესაბამება მიზნებს და მიზნები ნათლად აღწერს იმ უნარებს, ცოდნას, ავტონომიას და პასუხისმგებლობას, რომელსაც პროგრამა ავითარებს. ხაზგასმულია როგორც ციფრული ტექნოლოგიების, ისე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დაბალანსებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის აუცილებლობა, ასევე სტუდენტის უნარი, პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა, იპოვონ შესაფერისი ორიგინალური ფორმა შემოქმედებითი იდეებისთვის და შეძლონ იდეის რეალიზება კონკრეტული მიმართულებით. განუვითარდეთ ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარები. პროგრამის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებელს და იძლევა მომდევნო საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას; შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; ისინი შეესაბამება საჭირო კვალიფიკაციის დონეს, აქვთ მიმართულების დეტალური აღწერა, ითვალისწინებს კვალიფიკაციისა და ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო სასწავლო გეგმაში შემავალი კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს, მიაღწიოს პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის მენეჯერები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის

მომზადების პროცესში. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია, სწავლის შედეგების გადახედვა და დაკონკრეტება, ასევე კურსდამთავრებულთათვის სპეციალობის, კვალიფიკაციისა და საქმიანობის სფეროს შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების იდენტიფიცირება.

**რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ციფრული	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი )				
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი )	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ ბაკალავრიატის 3 წლიანი ციკლის მიმდინარეობისას, მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც სისტემატურად ხორციელდება. ვინაიდან ორივე პროგრამა ახალია, წარსული შეფასებების მტკიცებულება მონაცემების სახით მოწოდებული ჯერ არ იყო; თუმცა ორივე პროგრამის სწავლების და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები შეფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ციფრული კომუნიკაციის/მედია ხელოვნების და გრაფიკული დიზაინის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

პროგრამებზე გამოიყენეს სხვა დაწესებულების (ადგილობრივი და საერთაშორისო) მსგავს პროგრამებთან შედარებითი ანალიზი. გარდა ამისა, თითოეულ პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის და მათი მონიტორინგი

ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგებით, ხოლო შედარება ხდება მაშინ, როდესაც ტარდება სამიზნე ნიშნულების შეფასება.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს დახმარებას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში; ფაკულტეტის ყველა წევრი, მუდმივი თუ მოწვეული, იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდების მიერ ხორციელდება სრული ინსპექტირება და ხარისხთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. შეფასება და უკუკავშირი მოიცავს სასწავლო პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისთვის განკუთვნილ კითხვარებს/ინტერვიუებს; ამ გამოკითხვების შედეგები გაანალიზებულია და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან.

კავკასიის უნივერსიტეტმა შეიმუშავა სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ჩამოყალიბდა სწავლის შედეგების შეფასების საერთო მექანიზმებთან ერთად, სადაც ნაჩვენებია, რომელი საგანმანათლებლო კომპონენტი რომელ სწავლის შედეგზე გადის:

- სწავლის შედეგები შეფასდება დარგისა და დონის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და პერიოდულად, როგორც ეს მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში.
- პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასებაში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვას.
- პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.
- ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან შედარება.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და უშუალოდ არის ჩართული შეფასების პროცესში.
- კავკასიის უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი; სტუდენტებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან გასაუბრებები.
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის

მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- მსგავსი პროგრამების ანალიზი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი				
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

დიზაინი, ბაკალავრიატი )				
-------------------------------	--	--	--	--

#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)

საბაკალავრო პროგრამა "ციფრული კომუნიკაციები და მედია-არტი" მოიცავს 180 ECTS კრედიტს. ანუ სწავლის სამი წლის განმავლობაში სტუდენტი ყოველწლიურად აგროვებს 60 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით მას უფლება აქვს წელიწადში 15 კრედიტი დაამატოს.

**პროგრამის კომპონენტები:**

ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო კომპონენტი: 136 ECTS

ძირითადი სასწავლო დარგის არჩევითი კომპონენტი: 30 ECTS (ინგლისური ენის დამწყებთათვის B1.0 დონეზე - 20 ECTS);

სავალდებულო არჩევითი კომპონენტი: 14 ECTS (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონეზე, 24 ECTS);

თავისუფალი არჩევითი კომპონენტი: 10 ECTS თავისუფალი კრედიტი.

სავალდებულო კურსების უმეტესობა შექმნილია საბაზისო დონეზე პრაქტიკული უნარების დაუფლების მიზნით. პროგრამა შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიით.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების დონეს (ბაკალავრიატს); პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად; პროგრამის სტრუქტურა და რესურსები ითვალისწინებს პროგრამის ინდივიდუალურობას; ძირითადი სპეციალობის კურსები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სწავლის შემდგომ საფეხურზე დაშვების წინაპირობები საკმარისია; პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ზოგადი განათლება და ეროვნული გამოცდების ჩაბარება. საქართველოში დადგენილი საკანონმდებლო ნორმების მიხედვით, დამატებითი მოთხოვნები არ არსებობს.

### **აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)**

**გრაფიკული დიზაინის** საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს. ანუ სწავლის სამი წლის განმავლობაში სტუდენტი ყოველწლიურად აგროვებს 60 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით მას უფლება აქვს წელიწადში 15 კრედიტი დაამატოს.

პროგრამის კომპონენტები: ერთი სემესტრი შედგება 20 სასწავლო კვირისგან, შესაბამისად სასწავლო წელი 40 სასწავლო კვირას მოიცავს. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დროს, ასევე მის დამოუკიდებელ სამუშაოს (შუალედური და საბოლოო შეფასებისთვის, ასევე საშინაო დავალების მომზადებისთვის გამოყოფილი დრო).

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია ძირითად დისციპლინებად და დამოუკიდებელ კომპონენტებად: ძირითადი კურსები საგნობრივ სფეროში (125 კრედიტი):

- აუცილებელი კურსები - 109 კრედიტი;

- არჩევითი საგნები - 16 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტის კურსები (55 კრედიტი):

- აუცილებელი საუნივერსიტეტო კურსები - 20 კრედიტი;

- საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები - 20 კრედიტი;

- თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება ბაკალავრიატის განათლების დონეს; პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდოლოგიით. პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად; პროგრამის სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას; ძირითადი მიმართულების სასწავლო კურსები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სწავლის მომდევნო საფეხურზე დაშვების წინაპირობები საკმარისია; პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ზოგადი განათლება და ეროვნული გამოცდების ჩაბარება. დამატებითი მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია პროგრამისა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აპლიკანტი გადის პირისპირ შერჩევას ორ ეტაპად: ნაშრომის ელექტრონულად წარდგენა და გასაუბრება. შეფასების კრიტერიუმები და მინიმალური ქულა ასევე ჩამოთვლილია.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო დამსაქმებლების მოსაზრებები. შრომის ბაზრის ანალიზის შედეგების მიხედვით, ამ პროგრამაში ფაკულტეტის ჩართულობის ხარისხი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ციფრული კომუნიკაციებისა და მედია-არტის პროგრამაში. პროგრამა ხელმისაწვდომი და საჯაროა ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამა/რუქა;
- სასწავლო პროგრამები
- ვებ-გვერდი;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის ზოგადი რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მეტი ყურადღება დაეთმოს ტექნიკურ საგნებს და შესაბამისად გადაიხედოს სასწავლო გეგმა.
- რეკომენდებულია, სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის ბალანსის გაუმჯობესება, რათა სტუდენტებს არჩევანის უფრო ფართო სპექტრი ჰქონდეთ.

რჩევები:

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
  - ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
  - სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- 

## **კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ორდღიანი ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო პროგრამის 3 წლიანი ციკლი და კონკრეტულად მისი კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევებს. სილაბუსები კარგად არის განსაზღვრული და ნათლად აღწერს სწავლა-სწავლების პროცესს. სილაბუსებში მითითებულია ყველა სასწავლო მასალა, როგორცაა ბიბლიოგრაფია, IT სერვისები და სხვა მასალები.

პროგრამის შესაბამისობა ბოლონის პროცესთან ასევე უზრუნველყოფს ურთიერთკავშირს პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამისთვის განკუთვნილი ECTS-ის ოდენობა არის 180, რაც გულისხმობს ყოველწლიურად 60 კრედიტს და ითვალისწინებს საკონტაქტო საათებს, ასევე სტუდენტების პერსონალურ დროს, თითოეული კურსის მიზნების მისაღწევად. ერთი კრედიტი შეესაბამება 25-30 სასწავლო საათს.

პროგრამების დასახული მიზნები სრულად შეესაბამება პროგრამების სწავლის შედეგებს, რაც, თავის მხრივ, აისახება და გაწერილია თითოეული საგნის/კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებში. ძირითადი სასწავლო სფეროების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების სწავლის შედეგებს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის თვალსაზრისით. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი შეესაბამება პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს, რაც აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში. თითოეული კურსის/კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების/რუბრიკების საფუძველზე. აღნიშნული სისტემა დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსებში, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია ჩამოთვლილი. თითოეული პროგრამის ყველა კურსი კარგად არის შესწავლილი და აქტუალურია შესაბამისი თანამედროვე ტენდენციებისა და უახლესი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება სწავლის

სფეროს მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს შესაბამის სფეროში უახლეს კვლევებს, მხედველობაში იღებს რა აკადემიური კურსის სპეციფიკას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამული კურსები, სახელწოდებითა და დისციპლინების შინაარსით, ზუსტად ემთხვევა დარგების კონტექსტს. კურსის სათაურები ნათლად ასახავს სფეროს და საგანს, რაც სტუდენტებს აძლევს ინტუიციურ გაგებას იმის შესახებ, თუ რას შეისწავლიან. ანალოგიურად, კურსის შინაარსი ყოვლისმომცველად პასუხობს სათაურით შემოთავაზებულ მიზნებსა და თემებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის თანმიმდევრულ გამოცდილებას.

გარდა ამისა, კურსებს ენიჭება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) კრედიტების სათანადო რაოდენობა, მათი სირთულისა და შინაარსის შესაბამისად. ECTS კრედიტები შექმნილია იმისათვის, რომ ასახავდეს კურსის დასასრულებლად საჭირო მთლიან დატვირთვას, მათ შორის ლექციებს, დავალებებს, თვითშესწავლას და გამოცდებს. მაგალითად, კურსს, რომელიც მოითხოვს დიდი რაოდენობით კითხვას, დამოუკიდებელ კვლევას და რეგულარულ დავალებებს, ენიჭება უფრო მაღალი რაოდენობის ECTS, როგორცაა 6 კრედიტი, ხოლო ნაკლებად ინტენსიურ კურსს ენიჭება 4 კრედიტი. კრედიტების განაწილება შეესაბამება კურსის სიღრმეს და სტუდენტებისთვის საჭირო დროს; ეს განაწილება საშუალებას იძლევა პროგრამების ფარგლებში შეინარჩუნონ თანმიმდევრულობა და სამართლიანობა, ასევე, დაიცვან საერთაშორისო აკადემიური სტანდარტები. კურსის შინაარსის სათანადო შესაბამისობა ECTS კრედიტებთან უზრუნველყოფს პროგრამის კარგად სტრუქტურირებას.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო პროგრამა)**

ეს საბაკალავრო პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც შექმნილია ციფრული კომუნიკაციისა და მედია ხელოვნების სპეციალისტისთვის საჭირო ძირითადი ცოდნისა და უნარების განსავითარებლად. სტუდენტები ასევე ეცნობიან მომიჯნავე დისციპლინების ნიუანსებს. ზოგადი საუნივერსიტეტო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტების თვალსაწიერის გაფართოებას, მათი ღირებულებების განვითარების ხელშეწყობას და წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას.

პროგრამის კურსებს ზოგადად აქვს წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს სწავლების ლოგიკურ განვითარებას. სემესტრების განმავლობაში კურსების თანმიმდევრობა მიყვება ცოდნის პროგრესირებისა და განვითარების პრინციპებს. პროგრამა აერთიანებს სასწავლო თემების ფართო სპექტრს, რაც სტუდენტებს მყარ საფუძველს აძლევს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე პრაქტიკაში. ასეთ ინტერდისციპლინურ მიდგომას აქვს პოტენციალი, რომ კურსდამთავრებულებს შესძინოს მრავალმხრივი უნარების კომპლექტი და მოამზადოს ისინი ამ ინდუსტრიაში სხვადასხვა პასუხისმგებლობების შესასრულებლად. მართალია, თემების მრავალფეროვნება სასარგებლოა, თუმცა სამწლიანი ციკლის განმავლობაში, პროგრამას სჭირდება შესაბამისი მონიტორინგი, რათა კურსების ფართო სპექტრმა არ შექმნას ფრაგმენტული გამოცდილება სტუდენტებისთვის, რადგან მათ შეიძლება გაუჭირდეთ იმის გაგება, თუ როგორ უკავშირდება სასწავლო გეგმის სხვადასხვა სფეროები ერთმანეთს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა)**

ეს საბაკალავრო პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც შექმნილია ციფრული კომუნიკაციისა და მედია ხელოვნების სპეციალისტისთვის საჭირო ძირითადი ცოდნისა და უნარების გასავითარებლად. სტუდენტები ასევე ეცნობიან მომიჯნავე დისციპლინების ნიუანსებს. ზოგადი საუნივერსიტეტო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტების თვალსაწიერის გაფართოებას, მათი ღირებულებების განვითარების ხელშეწყობას და წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას.

პროგრამის კურსებს ზოგადად აქვს წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს სწავლის ლოგიკურ ნაკადს. სემესტრების განმავლობაში, კურსების თანმიმდევრობა მიყვება ცოდნის პროგრესირებისა და განვითარების პრინციპებს. პროგრამა აერთიანებს თემების ფართო სპექტრს, რაც სტუდენტებს მყარ საფუძველს აძლევს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე პრაქტიკაში. ასეთი ინტერდისციპლინური მიდგომა კურსდამთავრებულებს სძენს მრავალმხრივ უნარებს და ამზადებს მათ ამ სფეროში სხვადასხვა პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი;

- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- კურსის სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**რჩევები:**

ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი

სასურველია, ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის პროგრამის სათანადო მონიტორინგი მისი სამწლიანი ციკლის განმავლობაში, რომ კურსების ფართო სპექტრმა სტუდენტებისთვის ფრაგმენტული გამოცდილება არ შექმნას, რადგან სტუდენტებს შესაძლოა გაუჭირდეთ იმის გაგება თუ როგორ უკავშირდება კურიკულუმით გათვალისწინებული სხვადასხვა სფეროები ერთმანეთს.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ი
--	--------------------------------------	--	--	--------------------------------

				მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შიამოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული

მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

---

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

---

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია- არტი, ბაკალავრიატი)**

ციფრული კომუნიკაციისა და მედია- არტის ბაკალავრიატზე ჩასარიცხად აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების (საერთო სახელმწიფო გამოცდების) ჩაბარება, რაც საერთო წესია კავკასიის უნივერსიტეტის ყველა პროგრამისთვის. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებითი საგნიდან აირჩიოს ერთ-ერთი: მათემატიკა, ისტორია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი მოთხოვნები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი მოთხოვნა ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სწავლის დონესა და სწავლების ენას. რაც შეეხება მინიჭებულ კვალიფიკაციას, მე ვფიქრობ, იდეალური იქნება, თუ ეროვნულ გამოცდებთან ერთად დაემატება შიდა ტურის ეტაპებიც, გრაფიკული დიზაინის პროგრამის მსგავსად.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (გრაფიკული დიზაინი – ბაკალავრიატი)**

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად საჭირო მოთხოვნები: სრული ზოგადი განათლება, ერთიანი ეროვნული გამოცდები და შემოქმედებითი ტური/კონკურსი. უმაღლესი განათლების მიღების საერთო წესზე გამონაკლისი

დაშვებულია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევების შესაბამისად, როგორც პირველ, ისე მეორე პროგრამის შემთხვევაში.

პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი მოთხოვნები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს ისეთი აპლიკანტების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამის დასრულებისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი მოთხოვნა ითვალისწინებს პროგრამის და სწავლების სფეროს სპეციფიკას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის დონესთან, მინიჭებულ კვალიფიკაციასთან და ასევე სწავლების ენასთან.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე ე დაშვების წინაპირობე ბი	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცი ა და მედია- არტი, ბაკალავრია ტი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკულ ი დიზაინი, ბაკალავრია ტი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტს აქვს პლაგიატის გამოვლენის პროგრამა; თუმცა, ციფრულ, ვიზუალურ და გრაფიკული დიზაინის სფეროებში აუცილებელია ამ დარგებისთვის მორგებული პლაგიატის გამოვლენის მექანიზმების შემუშავება. ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მიდგომების დამკვიდრება, რომლებიც სრულად გაითვალისწინებს თითოეული სფეროს სპეციფიკურ მოთხოვნებს.

კლასტერის ფარგლებში არსებული პროგრამებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაძლიერება სარეკლამო სააგენტოებთან, სატელევიზიო ქსელებთან და საგამომცემლო სახლებთან. აღნიშნულ სექტორები კარგად იცნობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ტრენდებსა და მომხმარებელთა მოთხოვნებს. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საინტერესო არჩევით კურსს „პრაქტიკული მუშაობა“, რომელიც არის შესანიშნავი ინიციატივა და სტუდენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა, სტუდენტთა უკუკავშირზე დაყრდნობით, კურსს არ გააჩნია წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურა და ძირითადად ხორციელდება სპონტანურად. სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების შესახებ, ხოლო სილაბუსი არის ზოგადი და არ მოიცავს თითოეული პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებს. ჩვენ გვჯერა, რომ აუცილებელია ამ კურსის სხვადასხვა პროგრამებზე ადაპტაცია და მისი სტრუქტურის ყურადღებით დაგეგმვა. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს უსაფრთხოების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დაცულ და კარგად ორგანიზებულ სასწავლო გარემოს.

სამწუხაროდ, პროგრამა არ ითვალისწინებს განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მიუხედავად ძლიერი პარტნიორი ორგანიზაციების სიის არსებობისა, ეს პარტნიორები არ მონაწილეობენ პროგრამის დაგეგმვაში ან მის შემდგომ განვითარებაში.

პარტნიორი სარეკლამო სააგენტოებისა და სხვა ორგანიზაციების პროფესიული გამოცდილების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს განათლების ხარისხს და უკეთ შეუსაბამებს მას დამსაქმებლების მოლოდინებს. ეს საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს უფრო მარტივად დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები და შეამცირებს დამატებითი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საჭიროებას.

დამსაქმებლებთან გამართული დისკუსიები მიუთითებს, რომ ფაკულტეტს არ ჩაუტარებია შრომის ბაზარზე ორიენტირებული საფუძვლიანი კვლევა, რომელიც დაადგენდა დასაქმებისთვის საჭირო უნარებსა და მოთხოვნებს. მსგავსი კვლევა ფაკულტეტს საშუალებას მისცემდა შეემუშავებინა უფრო მიზანმიმართული სასწავლო პროგრამა.

გარდა ამისა, აუცილებელია ერთობლივი აკადემიური კონფერენციების ორგანიზება, რომელშიც ჩართულნი იქნებიან კლასტერის ფარგლებში არსებული ყველა პროგრამის სტუდენტები და პროფესორები. ამ ტიპის ღონისძიებები შესაძლებლობას მისცემს

სტუდენტებს გაცვალონ აკადემიური შეხედულებები და პრაქტიკული გამოცდილება სწავლების სხვადასხვა დონეებსა და პროგრამებს შორის.

მსგავსი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის განვითარებას, რაც უზრუნველყოფს სფეროსთვის სპეციფიკური პრობლემების სწრაფ იდენტიფიკაციასა და ეფექტიან გადაჭრას. ამ ტიპის გამოცდილების მქონე კურსდამთავრებულები დამსაქმებლებისთვის გახდებიან ღირებული რესურსი, რაც მათ ორგანიზაციების კონკურენტულ უპირატესობას მოუტანს.

სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია შეიქმნას ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იქნება დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიებით და სრულად უპასუხებს კლასტერის საჭიროებებს. ეს სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს თეორიული ცოდნა რეალურ გარემოში გამოიყენონ. გარდა ამისა, პროფესორებს ექნებათ შესაძლებლობა, გააანალიზონ ტექნოლოგიური პროგრესის უპირატესობები ექსპერიმენტების და დაკვირვებების საშუალებით, რამაც შესაძლოა ახალი, მაღალი სამეცნიერო ღირებულების კვლევების განვითარებისკენ უბიძგოს.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებულია კვლევის ხარჯები, კვლევითი აქტივობები წინასწარ არ არის დაგეგმილი. ამ სფეროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან პრაქტიკული კვლევის უნარები თანამედროვე სწრაფად განვითარებად სამყაროში განათლების საფუძველს წარმოადგენს. ფაკულტეტმა აქტიურად უნდა იმუშაოს ამ საკითხზე, რათა უზრუნველყოს კვლევითი პროექტების სისტემური დაგეგმვა და განხორციელება, სტუდენტთა, პროფესორთა და დამსაქმებელთა ჩართულობით. ყველა კვლევითი აქტივობა უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული და დაკავშირებული კურსის შინაარსთან.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული მიმართულება განვითარებისათვის. თუმცა, ეს მიმართულება საკმარისად არ არის ასახული კონკრეტული კლასტერის სტრატეგიაში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საერთო ინიციატივა იყოს მორგებული კლასტერის საჭიროებებს და განხორციელდეს შესაბამისად. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს განათლებისა და კვლევის ხარისხს, რაც გაზრდის კურსდამთავრებულების მოთხოვნას შრომის ბაზარზე. გარდა ამისა, ფაკულტეტის წევრების სამეცნიერო კვლევები უფრო ხშირად გამოქვეყნდება მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში.

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

#### კლასტერის საერთო რჩევები:

რჩევები: სასურველია უნივერსიტეტმა, განსაკუთრებით პროგრამამ, შექმნას მკაფიო ხედვა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ, რათა სტუდენტებმა ნათლად გაიგონ, რომელ ეტაპზე და როგორ შეიძლება ამგვარი ინსტრუმენტების გამოყენება.

რჩევები: სასურველია „პრაქტიკული მუშაობის“ კურსი ადაპტირებული იყოს კონკრეტული პროგრამის მოთხოვნებზე, შემუშავდეს უსაფრთხოების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს კურსის განხორციელებას რეალურ პირობებში.

სასურველია შესაბამისი, განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომელშიც ჩართული იქნებიან სტუდენტები, ლექტორები და დამსაქმებლები. შესაძლოა ეს მოიცავდეს სემინარებს, გარე შეფასებაზე ორიენტირებულ გამოფენებს, დამატებით ტრენინგებსა და სხვა ინიციატივებს.

### რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია- არტი, ბაკალავრიატი)

#### რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მეტი ყურადღება დაეთმოს კონკრეტულ ტექნოლოგიურ სფეროებს, სიღრმისეული აკადემიური პროგრამის შემუშავებას და სპეციალიზაციის გათვალისწინებით, მის შემდგომ დახვეწას.

#### რჩევები:

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედები თ ი /საშემსრულებ ლო და ტრანსფერულ ი უნარების განვითარება	შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია- არტი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების

საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

---

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამები იყენებენ მრავალფეროვან, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლისა და სწავლების მიდგომებს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, კრიტიკულ აზროვნებას და თვითმართვად სწავლას. სასწავლო გეგმა აერთიანებს ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: ინტერაქტიული ლექციები, ერთობლივი პროექტები, პრობლემის გადაჭრის აქტივობები, შემთხვევითა ანალიზი, დისკუსიები და პროექტზე დაფუძნებული ამოცანები, რაც ემსახურება ინდივიდუალური სასწავლო უპირატესობებს გათვალისწინებას. აღნიშნული სტრატეგიები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში და არა მხოლოდ ინფორმაციის პასიურ მიღებას, რაც წარმოადგენს ორივე პროგრამის ძირითადი მიზნის — თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის — განხორციელების აუცილებელ კომპონენტს.

სწავლების მიდგომები შემუშავებულია მოქნილად, რაც შესაძლებლობას იძლევა, თითოეული სტუდენტის სპეციალური საჭიროებები და აკადემიური დონე იყოს გათვალისწინებული სასწავლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში იქმნება ინდივიდზე მორგებული პროგრამები, რომლებიც შეესაბამება სტუდენტის ინტერესებსა და უნარებს.

მოცემული მოქნილობა თითოეულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, სწავლა განახორციელოს საკუთარი მიზნების შესაბამის ტემპსა და დონეზე, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურობასა და ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო გამოცდილების უზრუნველყოფას.

პროგრამები ითვალისწინებს საერთაშორისო სტუდენტების კულტურულ და სპეციალურ საჭიროებებს. ფაკულტეტის წევრები, ადმინისტრაცია და მოწვეული ლექტორები სწავლების, სწავლისა და შეფასების სტრატეგიების შემუშავებისას ითვალისწინებენ აღნიშნულ ასპექტებს.

ეს მოიცავს კომუნიკაციის სტილის ადაპტაციას, კულტურული განსხვავებების გათვალისწინებას და ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტების აკადემიურ და სოციალურ წარმატებას.

ფაკულტეტის წევრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოზიტიური და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებაში. საკუთარი კომპეტენციის, მენტორული მხარდაჭერისა და თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით, ისინი ეფექტურად უძღვებიან სტუდენტებს აკადემიური წინსვლას.

ამასთან, სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნების მიმართ მათი რეაგირება აჩვენებს მათ ქმედით დამოკიდებულებას სტუდენტების წარმატების ხელშეწყობაში.

სწავლა-სწავლების სტრატეგიები ყურადღებით არის მორგებული პროგრამის აკადემიურ დონეს, კურსის შინაარსსა და სასურველ შედეგებზე. ისინი შექმნილია როგორც აკადემიური წარმატების, ისე პროფესიული მზაობის მხარდასაჭერად, რათა უზრუნველყონ პროგრამის შესაბამისობა როგორც საგანმანათლებლო, ისე ინდუსტრიულ სტანდარტებთან.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტები და მეთოდები, თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- ვებ-გვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

#### **შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლებასწავლის მეთოდები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კავკასიის უნივერსიტეტი ადგენს სტრუქტურირებულ შეფასების სისტემას, იგი იყენებს შეფასების ორ ფორმას: შემაჯამებელსა და განმავითარებელს. შეფასების სისტემა კარგად არის განსაზღვრული და მოიცავს კონკრეტულ ქულათა დიაპაზონებს A-დან F-მდე. პროცესი მოიცავს როგორც შუალედურ, ისე ფინალურ გამოცდებს, რაც ქმნის სრულყოფილ შეფასების ჩარჩოს. გარდა ამისა, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურსის სილაბუსში წარმოდგენილია დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები, რაც მიუთითებს შეფასების პროცედურულ მიდგომაზე. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, ნათლად განსაზღვრული შეფასების შკალითა და მკაფიო ქულათა დიაპაზონებით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან თითოეული შეფასების ტიპის მიზნის შესახებ: შემაჯამებელი შეფასება მიმართულია შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე, ხოლო განმავითარებელი შეფასება – განვითარების და უკუკავშირის უზრუნველყოფაზე. დეტალური შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, რაც შეფასების სისტემას ხელმისაწვდომს ხდის

სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, შეფასების პროცესს საფუძვლად უდევს მკაფიოდ განსაზღვრული პრინციპები: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა, რაც აძლიერებს ღია და სამართლიან შეფასების პროცესზე ორიენტირებულობას.

შეფასების სისტემა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს — „უმაღლესი განათლების პროგრამების კრედიტების დათვლის წესებს“. შეფასების სისტემა მოიცავს ხუთ დადებით შეფასების დონეს – შესანიშნავიდან (91-100 ქულა) დამაკმაყოფილებლამდე (51-60 ქულა) და ორ უარყოფით შეფასების კატეგორიას. სტუდენტის საგანმანათლებლო მიღწევების შეფასება ეფუძნება მიდგომას, რომელიც აერთიანებს როგორც შუალედურ, ისე ფინალურ შეფასებებს.

შეფასების სისტემა იყენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც მოიცავს როგორც ტრადიციულ გამოცდებს, ასევე დინამიკურ მიდგომებს, მათ შორის პრეზენტაციებს, კოლაბორაციულ აქტივობებს, შემთხვევათა ანალიზს და სხვას. სტუდენტთა შეფასება ხდება სხვადასხვა ფორმატით, როგორცაა ზეპირი შეკითხვები, ინტერაქტიული დისკუსიები, ტესტები რამდენიმე შესაძლო პასუხით, პრაქტიკული დავალებები, დემონსტრირება, სიმულაციური სიტუაციები და პროექტების შეფასება. გამოყენებული შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების უნარების განვითარებას სწავლების სხვადასხვა მიმართულებით.

ციფრული კომუნიკაციისა და მედია- არტის საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევა განისაზღვრება შუალედური და ფინალური შეფასებების საფუძველზე, რომელთათვისაც გათვალისწინებულია შესაბამისი წონითი მაჩვენებლები საერთო 100 ქულიდან და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სახელდობრ, 100 ქულიდან შუალედური შედეგებისთვის 70 ქულაა გამოყოფილი, ხოლო ფინალური გამოცდისთვის 30 ქულა. შუალედურ შეფასებებში გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 59%-ს. შუალედური შეფასება მოიცავს შეფასების მეთოდებს, რომელთა ჯამი შეადგენს 70 ქულას. თითოეული შეფასების მეთოდისათვის შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ სწავლის მიზნებს, დავალებაზე ორიენტირებულ მკაფიო კრიტერიუმებს და მათ საფუძველზე შემუშავებულ სასწავლო რუბრიკებს. შუალედურ შედეგებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 59% 70 ქულიდან, რათა ფინალური გამოცდის ჩაბარების უფლება მიიღოს. სტუდენტის ფინალური გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ იგი მიიღებს მინიმუმ 51%-ს პირველი ეტაპის საერთო 30 ქულიდან

და 60%-ს ყველა სხვა ეტაპზე. რაც შეეხება გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამას, სტუდენტის სასწავლო მიღწევების შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ (დასკვნით) შეფასებებს, სადაც თითოეულს აქვს მინიჭებული კონკრეტული წილი საერთო 100-ქულიანი შეფასების სისტემაში. შუალედური შეფასება შეადგენს 70 ქულას, ხოლო ფინალური შეფასება — 30 ქულას. ორივე კომპონენტისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში, სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ მინიმუმ 51%-ს 70 ქულიდან პირველი წლის საგნებზე (B2 ინგლისურის გარდა), რათა მოიპოვონ ფინალურ გამოცდაზე გასვლის უფლება. ყველა სხვა საგანში სტუდენტებმა უნდა მიიღონ მინიმუმ 59% შუალედური 70 ქულიდან. ფინალური ან დამატებითი გამოცდების ჩასაბარებლად, სტუდენტებმა უნდა მიიღონ მინიმუმ 51% 30 ქულიდან პირველ წელს და 60% 30 ქულიდან მომდევნო კურსებზე. სტუდენტებს, რომლებიც ვერ შეძლებენ დააკმაყოფილონ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ფინალურ გამოცდაში, აქვთ უფლება ჩააბარონ დამატებითი გამოცდა, რომელიც ჩატარდება ფინალური გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში, აკადემიური კალენდრის მიხედვით. მინიმალური კომპეტენციის ზღვრები შესაძლოა განსხვავდებოდეს, კურსის მასწავლებლის აკადემიური ავტონომიის გათვალისწინებით.

შეფასების სისტემის სანდოობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა შეფასების კომპონენტების გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ კრიტერიუმზე. შეფასება ეფუძნება გაზომვად კრიტერიუმებსა და შესაბამის რუბრიკებს, რაც ხელს უწყობს შეფასების თანმიმდევრულობას. უწყვეტი შეფასების პრინციპი ხელს უწყობს სტუდენტის პროგრესის რეგულარულ მონიტორინგს კურსის განმავლობაში. გარდა ამისა, ორმხრივი ფოკუსირება, როგორც სტუდენტის შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელ შეფასებაზე ასევე მისი პროგრესის შეფასებაზე განმავითარებელი შეფასებით, ქმნის დაბალანსებულ შეფასების სისტემას. ამ მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი ისურვებდა ფაკულტეტის ყურადღების მიპყრობას საბაკალავრო პროექტის შეფასების სისტემაზე გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. წარმოდგენილი სილაბუსის საფუძველზე, შეფასების სისტემა, რომელიც ეხება სილაბუსში აღნიშნული ცოდნისა და უნარების შეფასებას, არ განსაზღვრავს მკაფიოდ, თუ რომელ ეტაპზე ხდება ბაკალავრის პროექტის შუალედური შეფასება — ეს გულისხმობს სემესტრის ბოლოს პროექტის დასრულებული ვერსიის ხელმძღვანელის მიერ შეფასებას, კომისიის საბოლოო განხილვამდე, თუ შუალედური სამუშაოს შეფასებას სემესტრის განმავლობაში. სასურველია, შუალედური პროგრესის შეფასება იყოს ნათლად მითითებული და შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილი იყოს, რომ იძლეოდეს

მკაფიო ინტერპრეტაციის საშუალებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური პროგრამების სტუდენტებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პრაქტიკაში, სტუდენტების შუალედური შეფასება ხდება სემესტრის შუა პერიოდში, ხოლო ხელმძღვანელები უკვე დასრულებულ პროექტებს არ აფასებენ. ამიტომ, მომავალში ამ გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად, სასურველია საბაკალავრო პროექტის სილაბუსში უფრო ზუსტად განისაზღვროს პროგრესის შუალედური შეფასების ვადები და კრიტერიუმები.

შეფასების პროტოკოლი და კონკრეტული დეტალები სრულად არის წარმოდგენილი ინდივიდუალური საგნების სილაბუსებში, რომლებთან წვდომაც სტუდენტებისთვის მარტივად შესაძლებელია ციფრული პლატფორმის მეშვეობით. საგნის ლექტორებს ევალუბათ, სასწავლო პროცესის პირველ კვირაში სტუდენტებს დეტალურად აუხსნან შეფასების სისტემა და მეთოდოლოგია. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს, მათი აკადემიური ჩართულობის დასაწყისიდანვე, ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა შეფასების სისტემას და სტანდარტებზე.

შეფასების ჩარჩო მოიცავს დებულებებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის პროგრესს. როდესაც სტუდენტი მხოლოდ გარკვეულწილად ვერ აკმაყოფილებს შეფასების მოთხოვნებს, მას ეძლევა დამატებითი გამოცდის შესაძლებლობები. სისტემა ნებას რთავს სტუდენტს გავიდეს ხელმეორე გამოცდაზე და უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ მიდგომას მათ მიღწევებში ხარვეზების აღმოსაფხვრელად. გამოცდის ოქმები, რომელიც გვთავაზობს გამჭვირვალე გზამკვლევს შეფასების პროცედურების შესახებ, საჯაროდ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებგვერდზე. სტუდენტებს აქვთ მრავალი არხი, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ გაიგონ და მიიღონ მონაწილეობა მათი შეფასების პროცესში. ჩარჩო მოიცავს ყოვლისმომცველ მექანიზმებს შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და საბაკალავრო თემების ხელახალი გამოცდისთვის, სტუდენტთა აპელაციების შესაბამის ვადებში გადაწყვეტის ვალდებულებით. სააპელაციო პროცედურის განხორციელებაზე მთავარი პასუხისმგებელი პირია ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ და მონიტორინგის საკითხებში. გასაჩივრების პროცედურა შეიძლება მოიცავდეს შედეგების ხელახალ შეფასებას ალტერნატიული შემფასებლების მიერ, ხოლო ვიცე პრეზიდენტი ადმინისტრაციული და მონიტორინგის საკითხებში ქმნის ახალ კომისიას, რომელიც ხელახლა განიხილავს გასაჩივრებულ ნაშრომს. საგნის ლექტორები და ფაკულტეტის წევრები აქტიურად ამცნობენ სტუდენტებს ამ

გასაჩივრების მექანიზმებს, რის შედეგადაც კიდევ უფრო იზრდება შეფასების ჩარჩოს გამჭვირვალობა.

კავკასიის უნივერსიტეტი მოწოდებულია შეინარჩუნოს აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევითი ეთიკის უმაღლესი სტანდარტები სტუდენტების შეფასების პროცესში. ამ პრინციპების დასაცავად, ინსტიტუციამ დაწერა ყოვლისმომცველი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიური და კვლევითი ეთიკის დაცვას, პლაგიატთან ბრძოლის პრევენციას და ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირებას. ამ მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს და წესების დარღვევის შემთხვევაში შესაბამის პასუხისმგებლობის ზომებს და შედეგებს. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმები მოიცავს აკადემიურ თაღლითობას, მოტყუებას, პროფესიული გულგრილობას და პლაგიატს (აკადემიური უპატიოსნება). აღნიშნულისათვის, უნივერსიტეტმა დაწერა ანტი-პლაგიატის სისტემა – “Turnitin”, რომელიც ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმაში (Moodle). ანტი-პლაგიატის სისტემა ამოწმებს Moodle სისტემაში ატვირთულ ყველა წერილობით სამუშაოს და გამოვლენილი მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში აგზავნის შესაბამის ანგარიშს სისტემის ადმინისტრატორთან. გარდა უკვე დამკვიდრებული პრაქტიკისა, უნივერსიტეტმა აკადემიური კეთილსინდისიერების ფარგლებში ოფიციალურად დაამტკიცა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური სტანდარტები. აღნიშნული ინიციატივა ასახავს ინსტიტუციის მიერ ხელოვნური ინტელექტის განვითარებადი როლის აღიარებას განათლებაში და კვლევაში. ეთიკური გზამკვლევი მიზნად ისახავს მსგავსი ინსტრუმენტების პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე გამოყენების რეგულირებას, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი გამოყენების შესაბამისობას აკადემიური პატიოსნების ძირითად პრინციპებთან. აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. დაინტერესებული მხარეები სათანადოდ არიან ინფორმირებულნი უნივერსიტეტში მოქმედი სისტემის შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტების შეფასებას ელექტრონული სწავლების მეთოდებით უზრუნველყოფს. შეფასების რეჟიმის არჩევა განისაზღვრება აკადემიური კომპონენტის სპეციფიკითა და შინაარსით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ეფექტურობას და მის შესაბამისობას განზრახულ სასწავლო შედეგებთან. ამ მიზნებისთვის, უნივერსიტეტმა შეიმუშავა წესები, რომლებიც ეხება

კონკრეტულად ელექტრონული სწავლების პროცესს. თუმცა, უნივერსიტეტს შეუძლია განავითაროს და გააუმჯობესოს თავისი ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები, განვითარებადი ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისად, რომელიც ციფრული საგანმანათლებლო მეთოდების რეგულირებას ახორციელებს. რადგან უნივერსიტეტი ცდილობს ონლაინ სწავლების უფრო ფართო ინტეგრაციას თავის აკადემიურ კურიკულუმში, იგი ჩაატარებს სისტემატიურ შეფასებას, რათა დადგინდეს კონკრეტული პროგრამული კომპონენტები, რომლებიც საუკეთესოდ შეეფერება ციფრულ ადაპტაციას. ამ სტრატეგიულ ანალიზში გათვალისწინებული იქნება ბაკალავრიატის პროგრამებისთვის დადგენილი კრედიტების შეზღუდვები, რაც უზრუნველყოფს აკადემიური სტანდარტებისა და რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას. გეგმიური და სისტემატური მიდგომით, უნივერსიტეტი ეფექტურად გააფართოებს ციფრულ სწავლების ინფრასტრუქტურას, რაც გაზრდის საგანმანათლებლო მოქნილობას და დააკმაყოფილებს სტუდენტებში ელექტრონული სწავლების მზარდ მოთხოვნას, რაც შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტების მიერ ელექტრონული სწავლების უფლებად.

სტუდენტების შეფასების შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს კავკასიის უნივერსიტეტში პედაგოგიური მეთოდოლოგიების სისტემურ შეფასებასა და მუდმივ გაუმჯობესებაში. აღნიშნული შეფასებები გროვდება მეთოდურად, ანალიზდება და გამოიყენება პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის ელექტრონული სწავლების დროს. შეფასების პროცედურის პროტოკოლი მოქმედებს მრავალ იერარქიულ დონეზე. პირველადი შეფასებები ტარდება სემესტრულად ინდივიდუალური ლექტორების მიერ, რაც იძლევა დაუყოვნებლივ უკუკავშირს სწავლების ეფექტურობაზე. შემდეგი შეფასებები ხორციელდება პროგრამის დირექტორებისა და სპეციალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ყოვლისმომცველ ზედამხედველობას. აკადემიური მიღწევების რაოდენობრივი ანალიზი იყენებს გაუსის ნორმალურ განაწილების მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ტენდენციების აღმოჩენას სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მეტრიკებში. ამ სტატისტიკურ მიდგომას ავსებს სწავლის შედეგების შეფასების ძლიერი მექანიზმები, რომლებიც აერთიანებს წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტებს და დეტალურ შეფასების რუბრიკებს შესრულების მკაფიო კრიტერიუმებით. აღნიშნული შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემები გადის დეტალურ ანალიზს, ხოლო მიღებული შედეგები სისტემურად ინტეგრირდება სწავლებისა და სწავლის პროცესებში მათი დახვეწის მიზნით.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საგანმანათლებლო პროგრამა;
- გრაფიკული დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსები;
- სასწავლო შედეგების შეფასების მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასებები
- დებულება გამოცდების ჩატარების წესების შესახებ
- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი
- საგამოცდო წესები და რეგულაციები
- გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების ეთიკური ნორმები
- ელექტრონული ფორმატით ჩატარებული გამოცდების წესები
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

#### კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, განახლდეს ელექტრონული სწავლების რეგულაციები, რათა ისინი მეტად შეესაბამებოდეს ელექტრონული განათლების სფეროში კანონმდებლობის უახლეს ცვლილებებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კლასტერული პროგრამები მოემზადება ონლაინ სწავლის კომპონენტების აკადემიურ კურიკულუმში აქტიური ინტეგრაციისთვის.

#### რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4 სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია- არტი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ციფრული კომუნიკაცია და მედია არტი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტმა შექმნა მრავალი არხი, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა. გადამწყვეტ როლს ამ სისტემაში აკადემიური პერსონალი ასრულებს, პროგრამის დირექტორები და აკადემიური მენეჯერები ამომწურავ ინფორმაციას აწვდიან სტუდენტებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. კურსის ლექტორები სთავაზობენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს დანიშნულ საათებში, რომლებიც მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული კურსის სილაბუსში, რათა სტუდენტებმა იცოდნენ როდის და როგორ მიიღონ აკადემიური მხარდაჭერა. სკოლის დეკანები იღებენ პასუხისმგებლობას პროგრამის პრეზენტაციების ჩატარებაზე, რომელიც სპეციალურად შექმნილია ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის, რაც სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობას ქმნის.

უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა სპეციალური დამხმარე განყოფილებები, რომლებიც სტუდენტების მხარდაჭერის ეკოსისტემაში სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ. საგანმანათლებლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური უზრუნველყოფს საინფორმაციო მომსახურებას, გასცემს სხვადასხვა შეტყობინებებს,

იღებს სტუდენტთა განცხადებებს და აგვარებს სასწავლო პროცესში არსებულ პრობლემებს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ზედამხედველობას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, დაგეგმვას, შემუშავებასა და მოდიფიკაციას. კარიერის განვითარებისა და დასაქმების სამსახური ფოკუსირებულია სტუდენტების კარიერული გზების მხარდაჭერაზე. დამატებითი ერთეულები მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტს, სტუდენტური ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტს და სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისს, რომელთაგან თითოეული, საერთო დამხმარე სტრუქტურაში, ასრულებს განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთის შემავსებელ როლებს.

განსაკუთრებით მყარად არის ჩამოყალიბებული კარიერული განვითარების მხარდაჭერა. კარიერის განვითარებისა და დასაქმების სამსახური მუშაობს სტუდენტებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის კავშირების გასაადვილებლად, აწყობს დასაქმების ფორუმებს და კოორდინირებას უწევს ვიზიტებს წამყვანი ორგანიზაციებიდან. აღნიშნული სამსახური ქმნის ღირებულ სტაჟირებისა და სტიპენდიის პროგრამებს და რეზიუმეს წერისა და გასაუბრებისთვის მომზადების შესახებ პრაქტიკულ სემინარებს. დამსაქმებლების მოთხოვნის შემთხვევაში, ოფისი ასევე აწვდის სარეკომენდაციო წერილებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ დასაქმების პერსპექტივებს.

კავკასიის უნივერსიტეტმა შეიმუშავა ყოვლისმომცველი პროგრამული საინფორმაციო რესურსები, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე. უნივერსიტეტი ინარჩუნებს საგანმანათლებლო პროგრამების დეტალურ კატალოგებს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კვალიფიკაციის, მიზნების, სწავლის შედეგებისა და შეფასების სისტემის შესახებ. ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტზე და სხვადასხვა ოფისებში. თითოეულ სტუდენტს აქვს წვდომა პერსონალურ ვებ სივრცეზე აკადემიური პროცესის მართვის სისტემაში, სადაც მათ შეუძლიათ იპოვონ განრიგი, გამოცდების შესახებ ინფორმაცია და კურსის ლექტორების საკონტაქტო დეტალები.

უნივერსიტეტი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ახალი სტუდენტების ორიენტაციასა და ინტეგრაციაზე. ახლად ჩარიცხული სტუდენტები იღებენ სპეციალურ საორიენტაციო შეხვედრებს, რომლებიც გამიზნულია მათთვის სასწავლო პროცესის ძირითადი ასპექტების გასაცნობად. უნივერსიტეტის რესურსების ეფექტური

ნავიგაციის ხელშესაწყობად უზრუნველყოფილია საინფორმაციო პაკეტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის ანგარიშები გაიცემა შიდა საინფორმაციო ქსელებში ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, რითაც შენარჩუნებულია თანმიმდევრული საკომუნიკაციო არხები. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სპეციალიზებული დახმარება. უნივერსიტეტი მხარს უჭერს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხოვნების მქონე სტუდენტებისთვის.

კავკასიის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლის მრავალფეროვნებას რამდენიმე მექანიზმის საშუალებით. ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით მიღწეული ინდუსტრიული კავშირები ორივე პროგრამაში ქმნის მრავალფეროვან პრაქტიკულ სასწავლო კონტექსტს. უნივერსიტეტი რთავს საქმიანობაში გარე ექსპერტებს, იწვევს სტუმრებს მასტერკლასების ჩასატარებლად, რომლებიც სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას მრავალფეროვანი პერსპექტივებისა და ინდუსტრიაში არსებული შეხედულებების შესახებ.

საუნივერსიტეტო გარემოში სხვადასხვა კომპანიის მიერ პროექტების განხორციელებით ხელშეწყობილია პროექტზე დაფუძნებული სწავლა. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი მხარს უჭერს საერთაშორისო სწავლის შესაძლებლობებს, აფართოებს სტუდენტების ცოდნას გლობალური საგანმანათლებლო პერსპექტივებისა და პრაქტიკის მიმართულებით.

